წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ხუთშაბათი ოქტომბრის 27—(9) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლრის . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . [illegible]
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 160    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 160

სერაპიონ როსიპის ძე ნიჟარაძე აუწყებს ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომ შაბათს ოქტომბრის 28-ს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას მეუღლის

**ოლია იოსებ იაშვილის ასულის**

**ნიჟარაძისა**

სულის მოსახსენებლად. დილის ცხრა საათზე სოფელ გუბში.

დღეს პარასკევს, 27 ოქტომბერს 1917 წ. ქალაქის თეატრში გაიმართება

**ილიას საღამო**

(გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო)

1\. ფარდის ახდისას სიმებიანი ორკესტრი შეასრულებს სამგლოვიარო მარშს (შოპენისა).

2\. — მიმართვა. —

3\. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს მთლიანობა.

4\. ორი სურათი ილიას ცხოვრებიდან.

5\. ილია როგორც რევოლუციონერი.

6\. ილიას ლექსები.

7\. საკონცერტო განყოფილება.

8\. ცოცხალი სურათი.

**მონაწილენი:** ია ეკალაძე, ნ. ლორთქიფანიძე, დ. თომაშვილი, ალ. თორაძე, ილ. ჟღენტი, კ. ლომთაძე, ლადო მაჭავარიანი, შ. კარმელი, მსახიობნი, მომღერალთა გუნდი, ორკესტრი და სხვა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✖ ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

**ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში**

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება **„ქირონინი“**, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.



# ილიას დღე.

27 ოქტომბერი საქართველოს —ეროვნული დღესასწაულია.

1837 წ. ოქტომბრის 27-ს სოფ. ყვარელში დაიბადა საქართველოს უნიჭიერესი შვილი ჩვენი სიამაყე **ილია.**

რა იყო საქართველო იმ დროს?

წყალს მიცემული.

მე 19 საუკუნეში პოლიტიკურ დამოუკიდებლობა დაკარგულ ერს არაჩვეულებრივის სისწრაფით ერთმეოდა შინათმყოფელობის უფლებები. მოქანცული და მოსვენების პროცესის განმცდი ერი ღრმათ ეფლობოდა მონობის მორევში.

სიმდიდრე საქართველოსი ნიავდებოდა, უცხო ელემენტი საქართველოში საკუთარ სამშობლოს იმკვიდრებდა.

ყველა დაშლილი დაქაქსული, ბრწყინვალე წოდება რომანოვთა აგენტების მიერ წარმოგზავნილ „ფუფუნებას“ მოეხიბლა, და იგი, ბრწყინვალე წოდება, ასე თუ ისე პატრონი საქართველოსი ჩვენ შემბორკავ რომანოვთა ტახტის წინაშე უქვეშორდეომლესათ მუხლს იდრეკდა.

გლეხობა-მშრომელი ხალხი ბატონ ყმობის უღელში კვნესდა.

პირადათ გლეხს თავად აზნაურობა სძულდა, რაც არღვევდა ივერიის ერთობას ეროვნული სახე სამშობლოსი ირყვნებოდა, მახინჯდებოდა.

პეტრეს ქალაქიდან წარმოგზავნილი ლოთი მოხელენი სულთანის და შაჰაბაზის მეხარკეებზე გაცილებით მეტს სისასტიკეს და სისაძაგლეს ჩადიოდნენ საქართველოში.

სიტყვა „საქართველო“ გაქრა, ქალაქები ქართველ ხალხს წაერთვა, იქ უცხოელები ჩასახლდენ, რომელთაც სოფლადაც დაიწყეს გაჭრა.

საქართველოს პიროვნება შეელახა

აი, ასეთ შავბნელ ხანაში, ეროვნულ დაქვეითების მომენტში სამშობლოს სასამსახუროთ ამოანათა **ილიას** მზემ.

**ილია** მედგრათ შეებრძოლა საქართველოს სიდუხჭირეს.

სრულიად საქართველოს ერს მოსთხოვა **ერთობა**

გადაშენების, მიწა წყლის დაკარგვის დაუძლურების გზაზე მდგომთ ძლიერის ხმით შემოგვძახა **„ჩვენი თავი ჩვენ“ უნდა გვეკუთვნოდესო.**

დღემდის ამ სიტყვების გარშემო ტრიალებს ქართული აზრი და საქართველოს თვით არსებითიკეთილდღეობაც ამ დიად სიტყვები განაღდებაშია.

**ილია** იბრძოდა გლეხთა განთავისუფლებისთვის. რადგან ამ თავისუფლებას და აყვავებას.

**ილია** ნამდვილი სახელმწიფური მოღვაწე იყო.

მისი მუშაობა ბანკებში წერილები ერობის შესახებ და მაზრების დაყოფაზე მის სახელმწიფურ ნიჭს ააშკარავებენ.

ვისთვის არის საჭირო **ილიას** ამაგის მოთვლა.

არავისთვის! მან ვინც, რომ თავის თავს ქართველს უწოდებს ეს იცის საქმით უნახავს.

დღეს ჩვენი მიზანი არის განახლების და გარდაქმნის დროში მყოფ ქართველ ხალხს უთხრათ: „არ შეარცხვინო დიდი მოძღვარი, ანდერძი სწორათ შეასრულე“.

ქართველმა ხალხმა დღევანდელ მრისხანებაში უნდა გამოსჭედოს თავის ბედი დაამყაროს ისეთი პირობები როცა თავის თავი მასვე ეკუთვნება. საქართველოს გაერთიანება დღეს შეიქმნა აუცილებელი.

მთა წმიდაზე **ილიას** სპეტაკ საფლავთან მუხლს მოვიდრეკთ და ვიტყვით. დაე, ასრულდეს წადილი შენი ერის მედროშევ!.. იყოს საქართველო თავისუფალი, თავისი პატრონი...

დღეს **ილიას** დღეა და ყოველ ქართველს მოაგონდება, გაურკვეცდება თავის მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

სცოცხლებს ქართველი ერი თავის ეროვნულ სახით და **ილიას** ხსოვნაც წარუშლელი იქნება საუკუნეთა განმვლობაში.

**ი. იმერელი.**

# ქართველთა ლაშქარი.

დღეს სამშობლოს დაუბრუნდა წელიწად ნახევარი სახუნდარებში, ომის ჰაპან-წყვეტაში გამობრძმედილი ქართველი ჯარი.

ომში წასულთაგან ბევრმა ველარ იხილა „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლო; იქ, გადამწვარ სამხრეთის სილამ მიიღო ომისთვის ზვარაკათ შეწირული მათი სხეული, მაგრამ სული ქართველისა იგივ მხნე, იგივ მედგარი მებრძოლი თავის ბედისა ვერ შეურყევია დანარჩენთათვის.

ისინი მოვიდენ თვისი კერის, თვისი დედ-მამის, და-ძმის დასაცავათ.

წყეულიმც იყოს, ვინც ამ წმინდა მოვალეობაში მას ხელი შეუშალოს და ვინც დიად მათ საქმეს—ერის დაცვისას—გადაახვევინოს...

ალტაცებით და სიყვარულით შევხვდეთ მათ და დავეხმაროთ სამშობლოს წინაშე პირნათლად შეასრულონ ყოველი ადამიანისთვის საამაყო მოწოდება—სამშობლოს დაცვა.

გაუმარჯოს ქართველ მხედრებს!

Argou.

# ირაკლი წერეთლის ლექცია ბათომში.

მართალია, ვინცა სთქვა, ირაკლი წერეთელი როგორც მჭერმეტყველი, საშუალოზე უარესიაო. სიტყვიერების სიმდიდრე და მხატვრულობა და ანაგების სიმარტივე აკლია; მშრალი, შეშისებური, მძიმე პერიოდები მსმენელის ყურადღებას ღლავს; ამავე დროს რუსული ენისათვის შეუსაბამო ქართული კილო და საგრამატიკო წესების ხშირად დარღვევა არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

დიაღ! მას რუსულად მეტყველება უმძიმს! მიკვირს, რატომ დედაენაზე არ მისალმა დიდი ხნის უნახავს თავის სამშობლოს.

საყოფელი. შინაარსი ხომ კიდევ არ არის მართებლობის ორგანიზაცია სოციალისტურისა და არასოციალისტური ელემენტების შეთანხმებაზე უნდა იყოს დამყარებული, ვინაიდან რუსეთი ჯერ არ არის მზად სოციალისტური რევოლუციისთვისა და ამგვარი ცდა საშიშელ კონტრრევოლუციას გამოიწვევდაო, სთქვა, და თავისი აზრის დასამოწმებლად საფრანგეთის რევოლუციების მაგალითები მოიყვანა.

იმავე დროს ჩივის, რუსეთში რადიკალი დემოკრატიული პარტია არ აღმოჩნდა, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, და, ამიტომ, ამ პარტიის როლი სოციალისტურმა პარტიებმა უნდა აასრულონ, თუმცა მათი ბუნებრივი საქმე მხოლოდ ოპოზიციაში ჩადგომააო.

ცხადია, რომ ეს შემცდარი აზრია. თუ კი საფრანგეთში სოციალისტები არა სოციალისტებთან ერთად იზიარებენ მართვა გამგეობის პასუხისმგებლობას, რატომ უნდა მოიქცენ სხვაგვარად რუსეთის სოციალისტები?!

მეორე, საფრანგეთში თუ არა სოციალისტებს მეტი გავლენა აქვსთ, რუსეთში კი სოციალისტებს, ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ რუსეთის ინტელიგენცია ჯერ კიდევ ოცნების ბურანისაგან, ვერ გამოფხიზლებულა! და, ცხადია, რომ მენშევიკების მიერ დღეს სოციალიზმის უარყოფა ამ გამოფხიზლების პირველი ნაბიჯია.

მაგრამ ერთი რამე არ აღნიშნა, ორატორმა: თუ სათავეში საჭიროა შეთანხმება არასოციალისტურ ელემენტებთან, პროვინციებშიაც ხომ არ უნდა იყოს უარყოფილი. სამწუხაროდ, არსად არ არის დაჩაგრული ისე ეს პრინციპი, როგორც საქართველოში.

# ქართული გამარჯვება ქართველ მხედრებს!

კიდევ უფრო სუსტი იყო მისი ფინანსიური რეცეპტი. მართებლობამ მტკიცე, შეურყეველი ფასები უნდა დააწესოს ობ და უნდა განსაზღვროს, როგორც მუშის ქირა, აგრეთვე კაპიტალისტის წმინდა მოგება და ამ მოგების ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს ხაზინას უნდა ხვდეს.

მაგრამ ეს განსაზღვრა შეუძლებელია. რუსეთის მრეწველობა იმდენად განვითარებული არ არის, რომ მუშაც უზრუნველჰყოს, სახელმწიფო გადასახადიც გაისტუმროს და წმინდა მოგებაც გადირჩინოს. ერთი სიტყვით, რუსეთის მრეწველობას იმდენი საშუალება არ აქვს, რომ ამ ომის მიერ გამოწვეული ხარჯებიც დაფაროს და ყველა სხვა საჭიროებაც კმაჰყოს.

მახსოვს, ერთხელ ჩუპროვი სწერდა: პატარა საფრანგეთი ათჯერ უფრო მდიდარია, ვიდრე რუსეთიო.

მერე კიდევ! რომელ ძალას შეუძლია განსაზღვროს მუშის ქირა და პურის, ფართლის ან სხვა საქონელის ფასი, როდესაც ყოველ დღე რამდენისამე ათი მილიონის ქაღალდის ფული იჭრება და გამოდის ბაზარზე?!

მაშასადამე, რა შობს ეკონომიურ მოუწესრიგებლობასა და საერთო უკმაყოფილებას?! ომის მიერ გამოწვეული ტვირთის ზიდვის შეუძლებლობა.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: მენშევიკები და კადეტები, რომელნიც განაგრძობენ ომს გამარჯვების მოლოდინში, შემცდარი არიან.

აქ ერთი რამე უნდა აღვნიშნო. ირაკლი წერეთელმა რამდენჯერმე გაიმეორა: რუსეთს არ უნდა ჩამოშორდენ შემადგენელი ნაწილებიო. ცხადია კი, რომ ესეც არ შეესაბამება სოციალისტს, რომელიც უნდა უაოჰყოფდეს მილიტარიზმსა და, მაშასადმე, დიდ სახელმწიფოებრივ სხეულს, რომლის გამთიშველი ძალების შეკრება შეუძლია მხოლოდ ძლიერ ჯარს.

დიაღ! ირაკლი წერეთელი ლაპარაკობდა, როგორც რუსეთის კადეტი, იმპერიალისტი, ცენტრალისტი და არა, როგორც ჩაგრული ერის წარმომადგენელი!

მიწის საკითხის შესახებ ორატორმა სთქვა: ჩვენ, სოციალისტური ორგანიზაციები, წინააღვუდექით გლეხების შესევას დიდი მიწის მფლობელების მამულებშიო. ეს დონისძიება გონივრულია, ვინაიდან აგრარული ანარქია, უეჭველია, ხელს შეუწყობდა კონტრრევოლუციას. მაგრამ იმავე დროს მან აღიარა. მიწის საკითხი რუსეთის თვითეული ქვეყნისთვის რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოსო.

მაშ საქართველოს მიწის საკითხი რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ბოლშევიკებმა უნდა გადაწყვიტონ?! და წვრილი მიწის მოქმედებისა და წვრილი მესაკუთრეობის ქვეყანაში სოციალიზაცია და ნაციონალიზაცია უნდა შემოიღონ?!

მაგრამ ქართველ ერს სრული უფლება აქვს გამოაცხადოს ამის წინააღმდეგ პროტესტი და მოითხოვოს, რომ საქართველოს მიწის საკითხი მხოლოდ საქართველოს ავტონომიამ გადასჭრას.

დასასრულ, ორატორი სწორედ კადეტურად შეეხო ეროვნულ საკითხს. სთქვა; ეროვნული ერთობა საჭიროა, მაგრამ არც ერთმა ერმა ამ ხანად ნაბიჯი არ უნდა გადადგას ეროვნულ უფლებათა განხორციელებისკენ, ვინაიდან ეს გათიშვა იქნებოდა და ხელს შეუწყობდა რეაქციასა და განადგურებასო.

საბედნიეროდ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა. ფინეთმა თავისი ეროვნული უფლებანი თითქმის სავსებით განახორციელა, უკრაინამ ამ მხრით უკვე დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. საქართველომ უკვე აღადგინა თავისი ეკლესია და განახორციელა ნაციონალიზაცია სკოლისა და თვითმართველობაში! კავკასიის მთიელებმა თავისი ავტონომია თითქმის ფაქტიურად განახორციელეს და სხ.

ჩანს, ორატორი ცენტრალისტ მენშევიკებისა და კადეტების იდეოლოგიის სფეროში ტრიალობდა.

უეჭველია კი, რომ ეროვნული თავისუფლებისკენ კიდევ ბევრი ნაბიჯი გადაიდგმება წინ, ვიდრე დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს.

სამწუხაროდ, ჩვენ ქართველებმა, ერთობ დავიგვიანეთ. არ დარჩენილა არც ერთი ერი, რომ თავისი ეროვნული მოთხოვნილება არ გამოეცხადებინოს. მხოლოდ ჩვენ არა გვითქვამს-რა ჩვენი ეროვნული უფლების შესახებ და ასე გასინჯეთ, ვქადნით კიდევაც ჩვენს ეროვნულ შეგნებლობას!

დიაღ, რევოლუციის გაღრმავება და მისი შედეგების განმტკიცება უმთავრესად ეროვნული მოძრაობის ნაყოფია: თვით რუსეთის რევოლუციაც კი მტრის შემოსევის მიერ გამოწვეულმა განსაცდელმა შვა და რად ეღირებოდა ეს მოძრაობა, უკრაინისა ფინეთის ეროვნული განთავისუფლების დიდი აქტი რომ არ მომხდარიყო და საზოგადო მოთხოვნათ თვითეული ერის განსაკუთრებული მოთხოვნაც ზედ არ დამატებოდა?!

დასასრულ მიკვირს, ორატორმა რომ სთქვა:

არცერთ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში ისეთი თავისუფლება არ არის, როგორიც რუსეთშიო. ახლა რომ მეტია თავისუფლება, ვიდრე ნიკოლოზ მეორის დროს, რომ იყო, უეჭველია; მაგრამ, რუსეთში რომ ნაკლებია თავისუფლება, ვიდრე ევროპისა და ამერიკის რომელსამე ქვეყანაში, ესეც უეჭველია. ცხადია კი, რომ თავისუფლება ბოლოს და ბოლოს ბორკილებს თავს დაახწევს და გზას გაიკვლევს!

**ვასილ წერეთელი.**

## რუსული პრესა.

### „კ ა ზ ა კ ო ბ ა“

მეუმრავლესეთა ორგანო „ნოვაია ჟიზნ''-ი ყაზახების შესახებ შემდეგს სწერს:

,,კორნილოვის პერიოდის შემდეგი ხანის დამახასიათებელი თვისება არის ორი პროცესი: ერთი მხრით გაღრმავება რევოლუციური განწყოხილებისა პროლეტარიატსა და გლეხობის შორის, მეორე მხრით რეაქციული სურვილების ზრდა ბურჟუაჟიისა და მემამულეთ შორის.

პროლეტარიატისა და გლეხობის ერთი ნაწილის მეთაურათ გამოვიდა ,,ბოლშევიკების პარტია'', ცენზიანი რუსეთის ,,ავანგარდათ'' ნელ ნელა კაზაკობა გამოდის თავისი სოციალი ბუნების მიხედვით კაზაკობა, რომლების უმრავლესობა წვრილი კერძო მესაკუთრებიდან შესდგება, არასოდეს რევოლიუციონური არყოფილა. მათი პოზიცია რევოლიუციის პირველ დღეებში უმეტესათ ნეიტრალი იყო. თებერვლის დღეებში კაზაკობა ხალხთან იყო კორნილოვის გამოსვლისას ისინი არ მიემხრენ მოღალატეს.
ამითი იხაზება მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა

უკანასკნელ დროს მათი როლი იცვლება პასიური ,,ლოიალობიდან'' ისინი აქტიურ პოლიტიკურ შეტევაზე გადადიან. რევოლუციის უკნიდან ბანაკები რეაქციას იწყებენ.

თავისთავად ცხადია რომ აქ მთელ კაზაკობაზე კი არ არის საუბარი არამედ უმრავლესობაზე, კაზაკობაში ეხლანდელ დრომდე არიან ნაწილი რომლების რევოლუციის ერთგულებაზე ეჭვი არავის ეპარება მაგრამ ვერ დავბრმავდებით თვალებით—რომ ყოველ დღე პოლიტიკური როლი კაზაკობის უფრო მნიშვნელოვანი და უფრო რეაქციული არის. ყოველ დღე იზრდება და მაგრდება პოლიტიკური ორგანიზაციები კაზაკებისა რომლებიც მიმართულნი არიან რევოლუციის არა სასარგებლოთ. ყოველ დღე მრავლდება რიცხვი კაზაკების ჟურნალ-გაზეთებისა რომლებშიდაც არც ერთი არ არი რევოლუციური. ,,ყუბანის რესპუბლიკის'' გამოცხადება მოწმობს რომ კაზაკების კლასობრივმა ინტერესებმა მიაღწიეს პოლიტიკურ წერტილის უმაღლეს მოთხოვნილებას''.

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ვერხოვსკის დათხოვნა.**

**პეტროგრადი.** ოქტ. 23 დღეს დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) ავადმყოფობისა გამო დასასვენებლად დაითხოვოს დროებითი მთავრობის წევრი და სამხედრო მინისტრი გენერალ მაიორი ვერხოვსკი. იგი დროებითი მთავრობის წევრისა და სამხედრო მინისტრის მოვალეობიდან განთავისუფლებული იქმნება. 2) სამხედრო სამინისტროს გამგებლობა დროებით სამხედრო მინისტრის გამგებლობა დროებით სამხედრო მინისტრის ამხანაგს არტილერიის გენერალს მანუკოვსკის ჩააბაროს, ხოლო სამინისტროს საქმეებს საერთო ხელმძღვანელობა პრემიერ მინისტრმა გაუწიოს.

**რომანოვების კვება.**

(გაზეთებიდან)

გაზეთების ცნობით, არც თუ ისე ბარაქიანად უხდება ცხოვრება ნიკოლოზ რომანოვის ოჯახს. ამაში ჩვენ დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ იმ სურსათს რომელიც მათ ერთი თვის განმავლობაში უნდა მოხმარებოდათ. ტობოლსკის სასურსათო კომიტეტს მათთვის ყოველ თვიურად გადადებული ჰქონია: 1) ჩაი 2 ფუთი და 25 გირვანქა 2) ყავა 7 ფუთი და 20 გირვანქა 3) შაქარი 9 ფუთი, 4) ერბო 6 ფუთი, 5) რძე 1200 ბოთლი, 6) ნაღები 240 ბოთლი (ან 1416 ბოთლი რძე (7) ფქვილი 45 ფუთი 3) კვერცხი—600 ცალი. ეს ყველაფერი საბუფეტოდ. ხოლო სამზარეულოსათვის: 1) პირველ ხარისხის ფქვილი 2 ტომარა (10 ფუთი) 2) ბრინჯი 1 ფუთი პირველ ხარისხის მურდული 3 ფუთი. მეორე ჯურა—1 ფუთი 4) ფქვიერი 4 ფუთი, 5) კვერცხი 2000 ცალი, 6) რძე 600 ბოთლი 7) კარტოფილი 20 ტომარა და ერბო 10 ფუთი. ყველა ეს 62 კაცისთვის იყო გაწერილი ტობოლსკის სასურსათო კომიტეტმა ცოტა არ იყოს იბევრა ამდენ სურსათის მიწვდა, და ეხლა, როგორც დეპეშით იტყობინებოდნენ, სურსათს მხოლოდ ბარათებით აძლევს. ამ დღეებში კიდევ თურმე 6 ყუთი ღვინო მიჰქონებიათ „სასახლისკენ“, მაგრამ ჯარის კაცებს გაუგიათ ეს და ღვინო გზაში დაუღვარით, ახლა ღვინოზე ნებართვას კერენსკის სთხოვენ.

**ბოლშევიკების მოძრაობა:**

**პეტროგრადი.** ოქტ. 23 დღეს პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსთან არსებულ სამხედრო სარევოლუციო კომიტეტის განცხადებამ დიდი ყურადღება მიიპყრო პეტროგრადის როგორც დემოკრატიული, ისე პოლიტიკურ წრეებისა. განცხადება მიმართულია მუშათა, ჯარისკაცთა და მცხოვრებთადმი. იგი აუწყებთ, რომ სტაბტო ქალაქის სამხედრო ნაწილებში დანიშნულია კომისრები. ბრძანებები და სხვა და სხვა განკარგულება უნდა სრულდებოდეს მხოლოდ კომისრების რწმუნებულია და ძალსტურებით კომისრები, როგორც დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები, ხელშეუხებლები არიან და მათი წინააღმდეგობამ. დეპუტატთა საბჭოს წინააღმდეგობაა.

**ბოლშევიკების რეზოლუცია.**

**ვლადივოსტოკი.** ოქტომბრის 22 პროფესიულ კავშირთა საოლქო ყრილობაზე პოლიტიკურ მომენტის შესახებ დიდი ხნის კამათის შემდეგ მიიღეს ბოლშევიკების რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ ბურჟუაზიულ კლასების მთავრობის მოცილებას.

## რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

**სკობელევის სიტყვა**

**ნაკაზი და ეროვნული საკითხი**

სკობელევი აღნიშნავს, რომ თებერვლის 27-დან რუსეთის საგარეო პოლიტიკა სრულიად შეიცვალა: ძველი მთავრობის პროგრამა ახალი ქვეყნების დაპყრობისკენ იყო მიმართული, ამ დღიდან კი ჩვენი საგარეო პოლიტიკის პროგრამაში ომის თავდაცვით განსაზღვრაა აღნიშნული. ორატორის აზრით ტერეშჩენკო ნაკლებად ახორციელებს ამ ცვლილებას. დემოკრატიასო, ამბობს სკობელევი, ომი არას დროს არ მიაჩნდა პროგრესის წყაროდ, მაგრამ, თუ დემოკრატიას მოვთხოვთ ომის გათავებით ყოველგვარი დევნა. ჩაგვრა მოსპოს, ამით ძალზედ დავტვირთავთ დემოკრატიას. ყველა ის საკითხები, რომელთა გადაჭრაც ომის გათავებისათანავე შეუძლებელია, მის შემდეგ დემოკრატიულად უნდა გადასწყდეს ერთი პირობით: რუსეთმა ჩაგრულ ერებს გარანტია უნდა მისცეს, რომ იგი აღარ ჩაიდენს ისეთი საქციელს, როგორც იყო მე-60 წლებში პოლონურ პროვინციების დამშვიდება და უნგრეთის რევოლუცის ჩასაქრობად ჯარის გაგზავნა.

ყველა ის საკითხები, რომლებიიც ომის საბაბად გახდნენ, ამ საკითხებით დაინტერესებულ დემოკრატიათა სასარგებლოდ უნდა გადასწყდეს. გაუგებრობა ბელგეთის საქმეების გამო გამოირკვა და ბელგეთის ელჩი, ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით, სავსებით დაკმაყოფილდა, ელზას-ლორენის საკითხზე ჩვენ და საფრანგეთის დემოკრატია ერთი აზრისანი ვართ. პოლონეთისათვის რუსეთის დემოკრატია იღვწოდა და კვლავაც იღწვის, რომ ისტორიის სარბიელზე პოლონეთი, რაც შეიძლება ფართედ გაერთიანებული სახელმწიფოს სახით გამოვიდეს. სომხებმაც აგრეთვე უნდა მიიღონ მომავალში თავისუფლადჭარსებობის გარანტიები, თუ ამ ერს შესწევდა დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის ძალღონე. სერბეთი კვლავ უნდა აღდგეს და შევიდეს სხვა ხალხთა ოჯახში.

ომის მიერ და ან ომის გამო ეროვნებათა მიერ გამოყენებული ყველა ეროვნული პრობლემა უნდა გადასწყვიტოს სამშვიდობო კონგრესმა, ამ პრობლემების გადაწყვეტას კონგრესმა დემოკრატიული ხასიათი უნდა მისცეს. რუსეთის დემოკრატია ყველა ზომებს ღებულობს, რომ დაჩაგრულ ეროვნებათა საკეთილდღეოდ რუსეთი საზავო კონგრესამდე დემოკრატიული მიიყვანოს.

**მოძმე დემოკრატია**

ლიტველ დემოკრატიის წარმომადგენელის სიტყვის შესახებ სკოაელევმა განაცხადა, არც ისე საჭიროა რუსის დემოკრატიამ ახსნა-განმარტება წარადგინოს მოძმე დემოკრატიასთანო. მით უმეტეს რომ მათ დიდხან იბრძოლეს ერთად შეგობრულ ცხოვრებისთვისაო. ყველა მათგანი დაინტერესებულია რუსეთი დიდ სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზმის დაცვაში. როდესაც აქ ლიტვის და ლატვის ინტერესებს უკავშირებენ—მგონი, რომ ეს დემოკრატიის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.

**სრუტეების ნეიტრალიზაცია**

აქ დემოკრატიას უსაყვედურებენ, რომ სრუტეთა ნეიტრალიზაცია რუსეთის ეროვნულ ინტერესებს არ შეეფერება თუ სრული იარაღის აყრა არ განხორციელდაო. სკობელევის აზრით, ამის მთქმელი ღია კარებს აწყდება. რა თქმა უნდა, ამბობს სკობელევი,—ნეიტრალური სრუტეები ზღვაზე შეიარაღებულ ძალის დაჩენის დროს—ეს ძლიერის დიქტატურა იქნება, ანდა ზღვაზე ორი ძლიერი სახელმწიფოს მეტოქეობა. მაგრამ ნება მიეცით რუსეთის დემოკრატიასაც იზრუნოს იმისთვის, რომ ის, რისთვისაც იგი იბრძვის საერთაშორისო დამოკიდებულებაში მასვე არ გაუხდეს შემბორკველად.

**ლაშქრის მდგომარეობა.**

აქ ლაშქრის შესახებ ბევრი რამ ითქვა სამწუხარო. რა თქმა უნდა არავინ შეეცდება მის უმწეო მდგომარეობას ხელი გადააფაროს, მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჯარში უკვე ღრმად იჩინა თავი სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებამ. ხოლო რაც ხდება არა სასიამოვნო ჩვენს ლაშქარში ეს 40 თვის მძიმე ომს უნდა მიეწეროს.

**ნაკაზის დანიშნულება.**

ნაკაზის შესახებ სკობელევი ამბობს, მიუხედავად იმ გაუგებრობისა და უკმაყოფილების, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოიწვია, სარგებლობა მოგვიტანა, რომ დღიურ წესრიგში ზავის საკითხი ჩააყენა. პარიზის კონფერენციაზე ერთიანი დელეგაცია უნდა გაიგზავნოს, მაგრამ მთავრობის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ დელეგაციაში მონაწილეობას უნდა იღებდეს დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი პირი. ზავის პირობები უნდა შემუშავებულ იქმნეს და შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს ისე მივმართოთ საზავო წინადადებითაო. [illegible] (ტაში).

[illegible] ნაბოკოვი იჭერს. საბჭომ მიიღო წინადადება შემოკლდეს ორატორთა სია და ყოველ ორატორს სალაპარაკოდ 20 წამი მიეცეს.

**აბრამოვიჩის სიტყვა.**

ინტერნაციონალისტი რეინი (აბრამოვიჩი ამბობს, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კავშირი ისეთი წმიდათა წმიდა არ არის, რომლის დარღვევაც შეუძლებელი იყოს. რუსეთის მთლიანობის და ღირსების ინტერესები თავ-დაპირველად ომის შეწყვეტას მოითხოვენ. ომი უნდა გათავდეს ისე, რომ არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი იყვნენ.

**პოტრესოვის სიტყვა.**

მენშევიკი პოტრესოვი ამბობს, პარიზის კონფერენციაზე ჩვენმა დელეგატიამ უნდა განაცხადოს, რომ რუსეთი შემოერთების პოლიტიკას უარჰყოფს, მაგრამ არც „რადაც უნდა დაჯდეს“ ზავს მიიღებს რუსეთის ყველა კლასებმა დიდი ენერგია უნდა დახარჯონ, რომ რუსეთმა „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავი მიიღოს თორემ მივიღებთ ისეთს ზავს, რომელიც ანექსიის სახით მხოლოდ რუსებს ჩამოართმევს ოლქებს (ტაში). მაშასადამე ჯერ რუსეთმა და მოკავშირეებმა სთქვან უარი დაპყრობითი პოლიტიკაზე და შემდეგ კიდევ საჭიროა ბრძოლა დემოკრატიულ ზავისათვის.

**მარტოვის სიტყვა.**

მენშევიკ-ინტერნაციონალისტი მარტოვი (ცედერბაუმი) მემარჯვენეთა მიმართ იძახის, თქვენ რუსეთის ღირსების დაცვას იმაში ხედავთ, რომ ჩვენი დიპლომატია სამშობლოში არ უშვებს რუს ემიგრანტებსაო. არც იმაშია სახელმწიფოს ღირსების დაცვა, რომ შეძლებული კლასების ხელში შემყურეთ გახადეს რუსეთი, და იმ აზრში ვითომც რუსის გლეხს ჯერ ვერ შეუგნია, რომ იგი სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს. შემდეგ ორატორმა სთქვა პრუსიის მილიტარიზმის დღეები დათვლილია, ხოლო ჩვენი აგრარული პროგრამა ძირს უთხრის მრავალტომიან ავსტრიას, ჩვენი სამხედრო მდგომარეობა ბურჟუაზიულ კლასების პოლიტიკამ დააქვეითა. ჩვენ დიდი ზნეობრივი ძალა გვაქვს, რომ იმედიც უნდა გვქონდეს პარიზის კონფერენციაზე. ჩვენ დემოკრატია სათანადოდ მოვემზადოთ და სწორედ ისინი, ვისაც გერმანელთა აგენტებს უწოდებენ დაიცავენ რუსეთს ჯვარცმისაგან,

**სოკოლოვის სიტყვა.**

კადეტი სოკოლოვი ამბობს, ვერხოვსკიმ სულ ბოლოხანს შეიცვალა აზრი და რუსეთის რევოლუციის დაცემა სწორედ ინტერნაციონალიზმის ზხამის გაჩენის შემდეგ დაიწყოო.

ჩრდილოეთის ფრონტის მხედარ ესტების კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა რესპუბლიკის საბჭოსა და ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ სკობელევის ნაკაზში ესტებზე არაფერია ნათქვამიო. კომიტეტი მოითხოვს ნაკაზი შეასწორონ რათა ესტონელთა კანონიერი უფლებები აღდგენილი იქმნას.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**პეტროგრადი.** ოქტომ. 24. ოფიციალი. ჩრდილოეთის, დასავლეთის, და სამხრეთ-დასავლეთის, და რუმინეთის ფრონტები. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტი.**

კემახის მიმართულებით ჩვენებმა ოსმალების ოხრილები დააცლევინეს და მასსისკენ განდევნეს ჩარჯანის მიმართულებით ულებით ოგნოტის რაიონში ოსმალთა მოდარაჯენი გავფანტეთ.

**ბალტიის ზღვა.** უცვლელადაა.

**ბულგარელთა მოქმედება**

**მომქმედი ლაშქარი.** ოქტომ. 23 დღეს და გუშინ ბულგალერთა მცირე რაზმები მდ. დუნაის „გეორგის“ ტოტზე გადმოსვლას სცდილობდნენ, მაგრამ სროლით უკუ ვაქციეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

# საგუბერნიო კონფერენცია

შაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, გაიხსნება ქ. ქუთაისში.

**კონფერენციის საგანი:** 1. დამფუძნებელი კრების არჩევნები.

2. პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.

3. საორგანიზაციო საკითხები.

**დელეგატების წარმოგზავნის წესი:** ქუთაისის გუბერნიის ქალაქები ჰგზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს, დანარჩენი პარტიული ორგანიზაციები თითო-თითოს. ქალაქები ბათომი, ქობულეთი, სოხუმი, ოჩემჩირე მონაწილეობენ წერილობით წარდგენილ წინადადების თანახმად.

კონფერენციის მომწყობი: **ქუთაისის კომიტეტი.**

## არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელი აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომპანიის გაწევა პარტიისაგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამგრძნობს, შემოიტანოს პარტიის კასაში შეძლების დაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პურადაშვილთან აზოვდონის კომერციულ ბანკში.

2) გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში, თბილისის ქ; ს. მიქელაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედიც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

**ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა.**

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

**კაკი წერეთელი გაიწვიეს.** პეტროგრადში მომხდარი ამბების გამო კაკი წერეთელი 25 ოქტომბერს სწრაფი დეპეშით ტფილისს გაიწვიეს. იგი იმავე დღეს საღამოს მატარებლით გაემგზავრა. წერეთელი თბილისიდან დროებით მთავრობას პირდაპირი მავთულებით დაელაპარაკება და თუ საჭირო იქნება პეტრეს ქალაქსაც გაემგზავრება.

**— ილიას საღამო.** დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება ილიას საღამო გადაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო, საღამოს შინაარსი 1. სამგლოვიარო მარში 2. მიმართვა: ია ეკალაძე ი. ქლენტი 3. დ. თომაშვილი ი. ჭავჭავაძე, როგორც რევოლუციონური, 4. ალექსანდრე თორაძე: ილია ჭავჭავაძე და საქართველოს მთლიანობა, 4. დივერტისმენტი: ნ. ლორთქიფანიძე — ორი სურათი ილიას ცხოვრებიდან, დ. თომაშვილი, ია ეკალაძე, ილ. ქლენტი, ლადო მაჭავარიანი, შ. კარმელი და სხვ. 6. საკონცერტო განყოფილება, 7. ცოცხალი სურათი.

**— ქართული ჯარის ჩამოსვლა.** გუშინ, 26 ოქტომბერს ქუთაისში ჩამოვიდა ქართველ მსროლელთა პოლკი. მთელი ქუთაისის ქართველი საზოგადოება განურჩევლით რწმენისა და მდგომარეობისა, ყველა აღფრთოვანებით შეხვდა. ამ დღეს სავაჭროები დახურული იყო. ყველა სასწავლებლის მოწაფეები მუსიკით შეხვდა. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

**— დამფუძნებელი კრებისათვის.** დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი ამიერ კავკასიის ცენტრალური კომისია დეპეშით სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო კომისიას, რომ საჩქაროთ აცნობოს, რამდენი საამომრჩევლო უბნათ არის დაყოფილი მთელი გუბერნია და თვითეულ უბანში რამდენი ამომრჩეველი იმყოფება. ეს ცნობები ცენტრალურმა კომისიამ უნდა წარუდგინოს დამფუძნებელ კრების არჩევნების მომწყობ სრულიად რუსეთის კომისიას.

**— მოსამსახურეთა მდგომარეობა.** რამდენიმე დღის წინათ, ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეებმა ქალაქის გამგეობას მოთხოვნილება წარუდგინეს, რომ მათთვის ჯამაგირები მიემატებინათ, ეს მოთხოვნილება გამგეობამ გასარჩევათ გადასცა საათფთიაქო კომისიას, კომისიამ განიხილა და ასეთ დასკვნას დაადგა: შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ, ორი ექიმი, ორი იურისტი, ორი წარმომადგენელი ქალაქის გამგეობისა, აფთიაქების ორი მეპატრონე და თითო წარმომადგენელი მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოებიდან. ამ კომისიამ უნდა განიხილოს დაწვრილებით მოსამსახურეების მდგომარეობა და წარუდგინოს ქალაქის თვითმართველობის გამგეობას.

**— ქალაქის საბჭო.** დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქალაქის საბჭოს სხდომა. გარჩეულ იქნება შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ქალაქის მოურავისა კავკასიის ქალაქთა კავშირის ყრილობის შესახებ. 2) მოხსენება ხმოსნის გრ. ურატაძისა დემოკრატიული თათბირის შესახებ, 3) განხილვა ქალაქის დებულებისა „ნაკაზის“ 4) თხოვნა ქალაქის გამგეობის ყოფილი წევრის პ. ი. მოსიძისა ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ და სხვა.

**— საგუბერნიო სასურსათო სამმართველოში** 25 ოქტომბრის მოხდა საგუბერნიო სასურსათო სამართველოს წევრთა სხდომა. სხდომაზე შემდეგი დადგენილებანი იქმნა გამოტანილი: 1) გაიგზავნოს სამმართველოს წევრი ნ. ჩხეიძე შიდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში და შორეულ აღმოსავლეთში ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა საჭიროებისათვის ფართლეულობის, ტყავეულობის საბაკალეინო და სხვა უსაჭიროესი საქონლის შესაძენათ. მიეცეს მას გზის ხარჯათ დღეში 25 მანეთი და ეხლავე მიეცეს მას ავანსათ 1500 მანეთი. 2) მიენდოს სასურსათო სამმართველოს წევრს ა. ლანდიას და ა. კოპაძეს გადაშინჯონ სამმართველოს მოსამსახურეთა ჯამაგირების რაოდენობა და წარმოადგინონ გამგეობაში თავისი შეხედულებანი თუ რამდენი უნდა მოემატოთ მათ დღევანდელი სიძვირის გამო 3) გაიგზავნოს სამმართველოს წევრი ა. ლანდია თბილისს სრულიად კავკასიის სასურსათო სამმართველოში სტატისტიკის შესასწავლათ და 4) გამოწერილ იქნეს ბაქოდან 100 ფუთი ნავთი სასწორი.

**— სურსათი.** შორაპნის მაზრის საუბნო სასურსათო კომიტეტების შეერთებული ყრილობის თავმჯდომარე საყვარელიძე სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს დაუყოვნებლივ გაეგზავნოს მათ შეპირებული 5 ვაგონი პურის ფქვილი და სიმინდი.

**— რესტორანების დახურვა.** მილიციის უფროსის განკარგულებით დახურულ იქმნა რესტორანი „ლევი“ ჩუმათ ღვინის გაყიდვისათვის და „ზოლოტოე დნო“ გემავი ქალები ვაჭრობისათვის.

**— სასურსათო ცენზორი.** ქუთაისის გუბერნიის სასურსითო სამმართველომ დაადგინა: დაარსოს ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში სასურსათო ცენზორის თანამდებობა, რომელიც თვალყურს ადევნებს გაზიდულ და შემოზიდულ საქონელს. ამ თანამდებობაზე არჩეულ იქმნა კ. ე. საყვარელიძე.

**— ახალი კავშირი.** დაარსდა ახალი კავშირი ქუთაისის გუბერნიის ხარჯის ამკრეფ ინსპექტორებისა.

**— მატყლის შესახებ.** ქუთაისის სასურსათო კომიტეტმა ამის წინად შუამდგომლობა აღძრა, კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტის წინაშე, რომ დაეთმოთ 10,000 ფუთი მატყლი, მაგრამ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ არ იქნა.

**— გაზეთის გაწერა.** ვლადიმერ პეპუაძე ქარჩავამ წლის ბოლომდე გაუწერა გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ სოფ. ჭოლას შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველოს.

### პროვინცია.

**დ. აბაშა.** აქაურ ორკლასიან სასწავლებლებში თავისუფალია ორი მასწავლებლის ადგილი. ამ ადგილს კი 30 კაცამდე თხოულობს. სასკოლო კომიტეტმა დაადგინა, რომ მთხოვნელები გაკვეთილის მიცემაში გამოცადონ და ვისაც მეტი ცოდნა აღმოაჩნდება ადგილი იმას მისცეს.

— **ქ. ჭიათურა.** პურის ფქვილი შემოილია, ადგილობრივმა სასურსათო კომიტეტმა დეპეშით გაუგზავნა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ გამოგზავნონ საკმაო პური.

— **დ. სამტრედია.** აქ დაარსდა სამტრედიის საუბნო სადგილო მამულო კომიტეტი, კომიტეტს თავმჯდომარეთ არის ა. ჯანელიძე. მდივნათ ი. კიკაბიძე და წევრებათ: გ. დონდუა, ა. ახობაძე, ს. ჩხეიძე, პ. გარაპაცავა და კ. შენგელია ქ. **ზუგდიდი** დარსდა ზუგდიდ-სამურზაყანოს საუბნო კოოპერატიული კავშირი „სახალხო საქმე“.

— **ქ. ჭიათურა** პური აღარ იშოვება მდგომარეობა მცხოვრებთა კრიტიკულია. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი არაფერს გზავნის.

### შეცდომის გასწორება.

დღევანდელს ნომერში შემდეგი კორექტურული შეცდომა გაგვეპარა „ილიას დღეში“ პირველ გვერდზე მეორე სვეტში ზევიდან მე-13 ე სტრიქონში გამოტოვებულია: **რადგან ამ თავისუფლებას შეეძლო ერის აყვავება და გამაგრება.**

## ქართველი ლაშქრის ჩამოსვლა ქუთაისში.

სპარსეთიდან დაბრუნდა ქართველი ლაშქარი და ერთი ნაწილი ამ ჯარისა უკვე ჩამოვიდა აქ, ქუთაისში. დასავლეთ-საქართველოს დედა-ქალაქის ქუთაისის მოქალაქენი ღირსეული პატივის-ცემით მიეგებნენ თავიანთ, იმედს ღვიძლს შვილებს, ძმებსა და თვის სისხლსა და ხორცს ქართველ ლაშქარს. დილის ცხრა საათი იქნებოდა, რომ ხალხმა შეგროვება იწყო ქუთაისის სადგურზე. ადგილობრივ ყველა სასწავლებლის მოწაფეები ზეაღმტაცი სიხარულით გაეშურა თავიანთ მოძმეთა შესახვედრათ.

მოსწავლე ახალგაზრდობა მუსიკითა და დიდი ზეიმით მიეგება ქართველ მხედრობას. დიდძალი ხალხი შეიკრიბა სადგურთან, როცა გრძნობიერის სიტყვებით მიმართეს ქართულს ლაშქარს, ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლმა, ქუთ. გუბ. კომისარმა გრ. გიორგაძემ. ფედერალისტების სახელით გრ. ლალიძემ და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით კონსტანტინე ლომთაძემ. შემდეგ მწყობრათ გამოემართენ ქალაქისაკენ. „სახალ. მეგობრის“ რედაქციასთან ფედერალისტების სახელით სიტყვით მიმართა შ. დადიანმა. შემდეგ ლაშქარი და აუარებელი ხალხი შეჩერდენ გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან, სადაც საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სახელით გრძნობიარე სიტყვით მიმართა იოსებ მაჭავარიანმა, რომელსაც დღევანდელს გაზეთის ნომერში ვბეჭდავთ. შემდეგ ლაშქარი გაემართა დასაბინავებლათ.

**ლ — ო.**

### იოსებ მაჭავარიანის სიტყვა.

საქ. ეროვნ. დემ. პარტია აღტაცებით ესალმება მის სიამაყეს საქართველოს თავისუფლების იმედს ქართველ ჯარს. სალამი თქვენდა ვაჟკაცნო! თქვენს სამშობლო გილოცავთ ბრძოლის გზას თავისუფლებისკენ. მას სწამს, რომ ამ განკითხვის ჟამს, როდესაც მსოფლიო ომის ქარცეცხლში იღუპებიან მთელი სახელმწიფონი, როდესაც ირგვლივ გაისმის სანატრელი ხმა მონობის ბორკილის მსხვრევისა, როდესაც პოლიტიკურ ჰორიზონტზე ირაზმებიან მონობისაგან განთავისუფლებული განახლებული ერები, დაირაზმება ქართველი ერიც და ღირსეულად აღმართავს ალამს თავისუფლებისას. ამისათვის საჭიროა საქართველოს სხეულის გაერთიანება, ქართველი ერის სულიერად შედუღება და შეთანხმება. პირველი პროცესი დასრულდა. საქართველომ იგრძნო მთლიანობის მაცოცხლებელი სიტკბო. და აღარავის მისცემს ნებას თავის სხეულის დაგლეჯა დანაწილებისას. რაც შეეხება მეორეს, შეერთების პროცესი მხოლოდ დაიწყო. ეხლა არ არის დრო პარტიული ბრძოლისა. თავის დაცვის ინსტიქტი მოითხოვს, რომ საქართველოს ყველა პარტიები შეერთდენ ეროვნულ ნიადაგზე. თქვენ საქართველოს უფლებისათვის მებრძოლნო, თქვენ ხართ ზეპარტიული რაზმი, რომელმაც დღეს უნდა შეაერთოს მთელი ქართველი ერი და წაიყვანოს იგი თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ. ამას მოითხოვს თქვენგან თქვენი სამშობლო, და შერცხვეს ის ვაჟკაცი, ვინც გაუცრუებს ამ იმედებს საყვარელ მშობელს! ვაშა ქართველ ჯარს! გაუმარჯოს საქართველოს თავისუფლებას!

### კ. ლომთაძის სიტყვა.

ქართველნო მხედარნო! ძნელია ენით გამოთქმა იმ ტანჯვა წვალების და გაჭირვების, რომელიც თქვენ გამოსცადეთ ამ საშინელი ომის დროს. გაუზომელ რუსეთის საზღვრებზე: აღმოსავლეთ პრუსიაში პოლონეთში ავსტრიაში, თუ ოსმალეთში თუ სპარსეთში უხვად იღვრებოდა თქვენი სისხლი რუსეთის დიდებისათვის, რუსეთის ინტერესების დასაცველათ. ისტორიულ წარსულშიდაც გვახსოვს ჩვენ საშინელი განუწყვეტელი ბრძოლა ქართველი ერისა. ჩვენში ყოველი ციხე, ხეობა ველი მოკენჭილია ქართველთ გმირების ძვლებით. მხოლოდ აწმყოს და წარსულ შორის ის განსხვავებაა, რომ მაშინ ქართველის ხმალი საქართველოს დასაცველათ პრიალებდა მაშინ „ქართველს უხაროდა მამულისთვის მტერთან ომი ან მოჰკლავდა ან თავის თავს შეაკლავდა, როგორც ლომი“. მხოლოთ მას მერმეთ, რაც დაქანცულმა საქართველომ თავი შეაფარა ვებერთელა რუსეთს, რუსეთის ძველმა მთავრობამ ვერაგულად გასთელა წმინდა უფლება ქართველი ერისა, მან დაარღვია ხელშეკრულება დადებული ერეკლე მეფესთან. ამის მერე განიცდის ქართველი ეროვნულ დევნას და შევიწროვებას; იგი დააყენეს გადაგვარების და გადაშენების გზაზე; ჯარი ქართველი გაიფანტა რუსის ჯარში გაუზომელ რუსეთის სივრცეზე. დღეს როდესაც გერმანეთის ზარბაზნების გრიალმა დაგლიჯა ჩაგრულ ერთა მონობის ჯაჭვები, დაგლეჯილი ჯაჭვები საქართველოს ეროვნული მონობის. დღეს სუგება საქართველო მკვდრეთით თავისუფლდება იგი. თუ ჩვენ ვიცით, რომ ყოველი კაცი არის კაცი და ეწოდება მას ძმა შენი გათავისუფლებულ რუსეთში უნდა იცოდეს, რომ ქართველი ერი, მშობელი ირ. წერეთლის და კარლო ჩხეიძის არის ერი და უნდა იქმნეს იგი თანაწორ უფლებიანი ძმა რუსის ერისა. ეს არის ჩვენი იდეა საქართველოს თავისუფლების იდეა, რომელიც დღეს ხორცს ისხამს და რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს ყოველი ქართველი ვინც თავისუფლების საქმეს ეტრფის სამშობლო ჩვენი უნდა აღდგეს, განათლდეს გაძლიერდეს, რომ კვლავ, როგორც წინეთ, გვქონდეს საფუძველი ვთქვათ; „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნის, ერი პურადი, გულადი მებრძოლი თავის ბედისა“

## მიტინგი ქ. ბაღში.

გუშინ საათის 12-ზე ქ. ბაღში თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა, რომელმაც მოისურვა სიტყვა ეთქვა იოსებ მაჭავარიანს. ბ-მა იოსებ-მაჭავარიანმა ფრიად გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვით მიმართა დამსწრეთ და მოუწოდა შეერთებულის ძალით მთლიან საქართველოს სახით აღდგენილი იქნას სამშობლო ქვეყნის თავისუფლება. ორატორმა აღნიშნა, რომ დრო არ არის პარტიული გამოსვლებისა და საჭიროა, რომ ეროვნულ პლატფორმაზე შეერთებულად ვიმოქმედოთ. ორატორის [illegible] დაჯილდოვებული. [illegible] მასწავლებელმა კონ. ლომთაძემ, რომელიც მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. ამბროსი პირველმა წარმოსთქვა შინაარსიანი მამულიშვილური სიტყვა და თვისი მჭექარე ხმითა და გრძნობიერი სიტყვით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. ორატორის სიტყვა ვაშას ძახილით და ტაშის ცემით დამთავრდა. უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა გრ. ლალიძემ, რომელმაც აღანთო დამსწრეთა გულში მამულიშვილური გრძნობა და ტაშით დააჯილდოვეს ეს უკანასკნელი ორატორიც. დასასრულ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობამ შეასრულეს სიმღერები „თამარის დროშა ვაშლეს“ „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და სხ. შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობა გაემართა გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციისაკენ, შეჩერდენ, რამდენიმე წამს შეასრულეს რამდენიმე სიმღერა და დაიშალენ.

**ლ — ო.**

## უკანასკნელი დეპეშები.

### გაფიცვა.

ქალაქის მოსამსახურეთა კავშირმა მოსკოვში დაადგინა, ქალაქის თვითმართველობიდან, მომრიგებელ კომისიიდან მიღებული მუხლების, შეცვლის გამო გამოაცხადონ ღამის 2 საათზე 20 და 21 ოქტომბერს ქალაქის მოსამსახურეთა საერთო გაფიცვა.

### მემარცხენე ეს-ერები.

საერთო ფრაქციიდან მექანიურათ გამოყოფილი ნაწილი უკვე შეკავშირდა ჩაეწერა 33 კაცი თავჯდომარეთ აირჩიეს კარელინი მდივნათ-კალიგაევი. პრეზიდიუმში შევიდენ: ნატანსონი, მალკინი, კამკოვი დაშრეიდერი.

—

მემარცხენე ტერები აგიტაცის ეწევიან ბოლშევიკებს გამოსვლების წინააღმდეგ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსთან არსებულ სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა და ტროცკიმ ბრძანებები დაუგზავნეს სამხედრო ნაწილებს — უფროსების განკარგულებას ნუ დაემორჩილებითო. დროებითმა მთავრობამ ჯერ კი გადასწყვიტა კომიტეტის შეპყრობა, მაგრამ მერე დაადგინა, რომ ჯერჯერობით მოიცადოს.

—

პეტროგრადის სამხედრო ოლქის პოლკოვნიკმა პოლკოვნიკოვმა უარი განაცხადა შტაბში დეპუტატთა საბჭოს კომისრის მიღებაზე. ამის გამო შტაბსა და კომიტეტის შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

—

ბოლშევიკების ცენტრალ კომიტეტს განუწყვეტელი სხდომა აქვს.

—

პეტროგრადში ხმებია, ვითომც ბოლშევიკებს გადაეწყვიტოთ მთავრობის შეპყრობა. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალი კომიტეტი, რომელიც მთავრობას უჭერს მხარს, ბოლშევიკები წინასწარ პარლამენტს კონვენტად გამოცხადებას უპირებენ.

—

პეტროგრადის მეციხოვნეთა უმრავლესობა გამოცხადდა სმოლნის ინსტიტუტში და განაცხადა, ჩვენ სამხედრო სარევოლუციო კომიტეტს ვემორჩილებითო. დელეგატები აცხადებდნენ: „დადგა დრო, რომ მთავრობა საბჭოების ხელში გადავიდესო“. ზოგი ამბობდა, რომ მთავრობის და კერენსკის გადაყენებას მოითხოვენ. ყაზახები მათთან არ ყოფილან.

—

კერენსკიმ მისწერა მალიანტოვიჩს, გამოიძიე ბრალდება სამხედრო სარევოლუციო კომიტეტის წევრთა სახემწიფოებრივ მოღალატეობის შესახებო.

—

პეტროგრადში ტყვიისმფრქვეველთა პოლკი შევიდა. ყაზახთა პოლკები გამზადებულნი არიან.

## ირაკლი წერეთლის ლექცია.

თითქმის ყველა ბილეთები გაყიდული იყო, როცა გამოცხადდა—ირაკლი წერეთლის ლექცია თანამედროვე მომენტზე. ზღვა ხალხი მოაწყდა თეატრს და ბილეთებს მოითხოვდა. რამოდენიმე დაკმაყოფილებულ იქნა - მათ ადგილები სცენაზე მიიღეს იქაც ექსპლოატაციები როგორც თბილისში: კინტო ბიჭები 2 მან. ბილეთებს ქუჩაში 15- 20 მან. ჰყიდდენ. თეატრში არც სცენაზე, არც პარტერში, არც ბალკონებზე ტევა აღარ არი.

ფარდა აიხადა—სცენაზე მხოლოთ სმენელები არიან... ტაშის-ცემა და ვიწრო გზით ტრიბუნისკენ მიეშურება მაღალი ტანის, არწივის თვალებიანი ყმაწვილი-კაცი-- ეს რუსეთის რევოლუციის რაინდი კაკი არის. ტრიბუნას ხელით დაეყრდნო და რამოდენიმე ხანს არწივის გამჭრიახი თვალებით ხალხს ათვალიერებს. ლექციაც დაიწყო. მთელი ლექციის გაყოფა ორნაწილათ შეიძლებოდა: 1-ში მოხსენება დარაზმული და კულტურულ-დემოკრატიის ბრძოლა მთავრობასთან ცენზიან ელემენტებს—2-ში გაილაშქრა ბოლშევიკების წინააღმდეგ მათ გამოსვლების და მათი უტაქტიკობის გამო პეტრეს-ქალაქში; ლექცია მრავალ-სიტყვიანი არ იყო. არც-ერთი ფრაზა, არც-ერთი სიტყვა უმნიშვნელოთ არ იყო წამოთქმული. თუმცა ახალი ბევრი არაფერი უთქვამს ორატორს. კაკი წერეთლის ლექცია ერთგვარი მოხსენება იყო იმის შესახებ, თუ რა მოხდა და რა ხდება პეტროგრადში. ლექტორს ეტყობოდა, რომ მას ქართული ენა ერთ დროს კარგათ სცოდნია მაგრამ ეს ცოდნა რუსეთს შეუბღალავს და კაკის სურს უკანვე დაიბრუნოს იგი. ზოგიერთ წინადადებებში ლექტორს პირდაპირ ეტყობოდა, რომ სიტყვას ჯერ რუსულათ გულისხმობს და შემდეგ საჯაროთ მას სთარგმნის. ამის გამო სიტყვები ხშირათ თავიანთ ალაგზე ვერ იყვნენ.

ლექტორი ძლიერ ებრძოდა მათ, ვინც გაიძახის ხალხში, რომ რევოლუციას არაფერი არ მოუციაო—„უმთავრესი ის არის, რომ ის, რაც მიზნები ქონდა რევოლუციას—დემოკრატიულ რესპუბლიკა—დამფუძნებელი კრება—„აგრარული რეფორმა“, რვა საათის სამუშაო დღე—ესენი რევოლუციამ ზოგი უკვე მოიპოვა და ზოგსაც მომავალ კვირეებში განახორციელებს“, სთქვა ლექტორმა. ლექტორი სულ რუსეთის სამშობლოზე—რუსეთის დემოკრატიაზე, რუსეთის დალუპვაზე ლაპარაკობდა. საქართველო მას არ უხსენებია, თუმცა ცოტათი დაუახლოვდა. როცა „კავკასიის დემოკრატიის“ ტაქტიკაზე მსჯელობდა.

ლექტორმა ლექცია მაშინ გაათავა, როცა ხალხი მოწყურებული იყო წამოყენებულ აზრების განვითარება მოესმინა. ლექტორი გატრიალდა და ყველას დასასვენებლად ეგონა წასული. ჩვენ ისევ თეატრში ვისხედით, როცა გამოაცხადეს ლექტორი თბილისს გაემგზავრაო.

**ბაჭუა.**

## სირცხვილია, სირცხვილი!

საზოგადოებას მოეხსენება, რომ დღეს ქალაქის თეატრში იმართება ილიას საღამო. ყოველ წელს 27 ოქტომბერს (ილიას დაბადების დღეს) იმართება ასეთი საღამო. წელსაც ტრადიციულად საზოგადოება მოწამე გახდება ამ საღამოსი. საღამოს მომწყობ კომისიამ ყოველივე ზომები მიიღო, რათა ეს საღამო ყოფილიყო შესაფერისი იმ პირისა, ვის სახელზეც იმარება ეს საღამო. სხვათა შორის მან მიმართა ქართველ მსახიობებსაც, რათა მიეღოთ მონაწილეობა ამ საღამოში, მაგრამ რა მოხდა? დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. აკაკი ფალავამ კატეგორიული უარი უთხრა მსახიობებს და არ მისცა ნება მათ მიეღოთ მონაწილეობა საღამოში. ვერავითარმა საშვალებამ ვერ გასჭრა მასზე. როცა მას უთხრეს, რომ ამ საღამოში ყოველ წელს ღებულობდა დასი მონაწილეობასო, მან განაცხადა: მაშინ წერა-კითხვის საზოგადოება აწყობდა ამ საღამოს, და ეხლა კი სხვაო.

ასე რომ მან არ მისცა ნება მსახიობთ ამ საღამოში მონაწილეობის მიღებისა, არც თამაშის, არც სიმღერის, არც ლექსის წაკითხვის, მიუხედავათ იმისა, რომ იყო მსახიობები, რომელთაც სურდათ ამ საღამოში მიეღოთ მონაწილეობა. რა დავარქვათ ბ. აკაკი ფალავას ასეთ საქციელს? ნუ თუ ილიას **საღამოში ქართველმა მსახიობმა ვერ** უნდა მიიღოს მონაწილეობა რა არის ეს რასა გავს? თუ აკაკი ფალავა ლაპარაკობს, როგორც თავმჯდომარე დრამატიულ საზოგადოებისა, ჩვენ ვეკითხებით დრამატიულ საზოგადოების გამგეობას: რით ხელმძღვანელობს ის, როცა ერთად ერთ ქართულ საღამოში, როგორც ილიას საღამოა, ის არ აძლევს მსახიობთ ნებას, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა მასში? მაგრამ რა შუაშია გამგეობა? კარგია ვიცით, ვინ ლაპარაკობს აკაკი ფალავაში, და ისიც ვიცით, რომ ამ შემთხვევაში მას ილიას საღამო არაფრად აინტერესებს არამედ სულ სხვა რამ, რომელზედაც შემდეგში გვექნება ლაპარაკი. ეხლა კი უთხრათ აკაკი ფალავას, სირცხვილია, სირცხვილი!

**კენტი.**

## რეალურ სასწავლებელში.

ოქტომბრის 24-25 მოხდა ქუთაისის რეალური სასწავლებლის მშობელთა წრის და მასწავლებელთა შეერთებული სხდომები, რომელზედაც გაირჩა ფრიად მნიშვნელოვი კითხვები ამ კრებაზე დადგენილ იქმნა, რომ ამიერიდგან ყოველივე დადგენილებები იწერებოდეს ქართულ ენაზე სხდომებზე სჯა-ბაასი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოების ქართულ ენაზე მოისპოს ნიშნებით მოწაფეთა ცოდნის აღნიშვნა და შემოღებულ იქნას დროის შესაფერისი ამის შესახები საშუალებანი, რისთვისაც არჩეულ იქნა ათი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც ათი დღის განმავლობაში უნდა წარუდგინოს საპედაგოგიო საბჭოს კრებას თავისი მოსაზრებანი. ამავე კრებაზე დადგენილ იქმნა, ქართველ გრიგორიანების, კათოლიკეების და ებრაელ ბავშვებისათვის სავალდებულოთ იქმნას ქართული ენის შესწავლა ვინაიდგან ყველა ესენი სისხლითა და ხორცით წმინდა ქართველები არიან, მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან მართლ-მადიდებელ ქართველებისაგან.

მღვდლის ვლადიმერ მაჭარაშვილის წინადადებით რუს მოსწავლეთა მშობელთა წრემ და აგრეთვე რუს მასწავლებელთა კორპორაციამ ერთხმათ დაადგინა: შემოღებულ იქმნას რუს მოსწავლეთა ყველა კლასებში ქართული ენის სწავლება. და ვინაიდგან ამისათვის სასწავლებელს სახსარი არ მოეპოვება, მღვდელმა ვლადიმერ მაჭარაშვილმა უსასყიდლოთ იტვირთა ქართული ენის სწავლება კვირა-უქმე დღეებში რაიცა დიდის მადლობით მიღებულ იქმნა.

**მოკეთე.**

## რკინისგზის ხიდეები.

(განცდილი შთაბეჭდილება)

„ნეტა როდის იქნება საწყალი კაცის საშველი ძველ დროში ხომ არ იყო, მაგრამ ვითომ არც ახალ დროში უნდა ველოდეთ?“ ასეთი კითხვით მომმართა ერთმა გლეხმა სვირის სადგურზე. „რამ გაიძულა, მეგობარო, რომ მაგ სიტყვები წარმოსთქვი“? შევეკითხე მე. „ქუთაისიდან მოვდივარ სახლისკენ მივეშურები და ხიდზედ არ გამიშვეს მიპასუხა მან, იქ ჯარისკაცი სდგას, მისი მე ვერა გავიგე და მან ჩემი, მხოლოთ როცა ხიდისკენ გავიწევდი, ხელს მკრავდა და უკან მახევინებდაო“-. მე შემოვატრიალე უკანვე ეს გლეხი და შველას დავპირდი, როცა მე თითონ თურმე საშველი ვყოფილვარ. აგერ ხიდთან მივედით. ხიდის აქეთა კიდეზე არავინ არ იდგა, ასე რომ ჩვენ ხიდი თავისუფლათ, გავიარეთ და გვეგონა განსაცდელს გადავრჩით მაგრამ მეორე ნაპირას ორი ჯარისკაცი იდგა. სწორეთ ჩვენ მაშინ გაგვაჩერეს, როცა ხიდი უკვე გავლილი გვქონდა და ნება რთვა მოგვთხოვეს., რადგან ჩვენ ხიდზე გასვლის წერილობითი ნებართვა არ გვქონდა, მათ უკანვე გამოგვაბრუნეს. ყოველივე ჩვენი ხვეწნა მხოლოთ ჰაერში იფანტებოდა და ჩვენ უკანვე გვერეკებოდენ. ჩვენ ვინახულეთ იქვე ამ ხიდის უფროსი რომელმაც უარით გამოგვისტუმრა და იმით გვანუგეშა, რომ გვითხრა, ერთათ ერთი საშუალება გაქვსთ უკანვე გაბრუნდეთო. ჩვენ მუდარით აუხსენით რომ გასვლა აუცილებელი საჭიროება არის და, რადგან წყალი დიდობის გამო ფეხით გასვლაც შეუძლებელია, ამიტომ ნება მოგვეცი ხიდზე გავიაროთ „კაკოი მოიო დელო, ჩტო ვადა ღლუბოკაია, პოდბირაი გდე მელჩე ილი უტონეჰ ამნე ტო შტო“. მხოლოთ ამ უხეში სიტყვების შემდეგ გავბრუნდით უკან. მდგომარეობა უნუგეშო იყო ელთხელ კიდევ ვცადეთ ბედი და კიდევ ხიდს მივადექით. ეხლა ჩემმა გამოგონილმა საშვალებამ გასჭრა და ხიდზე სასყიდლით შეუჩერებლივ გაგვატარეს. „ასეა, ძმობილო, მთელი წლობით ასე გვტანჯავენ ამ ხიდზე, ჩვენ მდგომარეობაში ისინი არ შედიან ხიდზე გასვლისთვის ხელში ან ნებართვის ქაღალდ უნდა გეკავს ან პატარა გროშეულება; არა ერთხელ მივმართეთ. სოფლის კომისრებს, რომ მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, მაგრამ, როგორც ხედავ, ისევ ისე ძველებურათ და კიდევ უფრო უარესათ გვეპყრობიანო“ სთქვა ჩემმა თანამგზავრმა. ასეთ გაჭირვებას განიცდიან სოფლელები რკინისგზის ხიდებზე. რანაირათ უნდა გამოუბრუნდეს სოფლის გლეხს ჩვენს მთავრობაზე გული, როცა მის საკუთარ მიწაწყალზე აშენებულ ხიდზე მას მხოლოთ სასყიდლით და ციმბირელი გადამთიელი ადამიანისაგან მოცემული ქაღალდის ნაფლეთით ატარებენ? რა უნდა ქნას სოფლის გლეხმა, რომ ვერც ეს სასყიდელი იშოვოს და ქაღალდის ნახვიც არ მიაშონ? უსათუოთ წყალ გაღმა ან გამოღმა უნდა გაიყინოს ან ფეხით შიგ უნდა ჩადგეს და თუ წყალი დიდია კიდეც დაიღრჩოს მერე ამას ეძახიან ჩვენი ბატონ პატრონები „ძმობას და თავისუფლებას“? რათ უნდა ჰქირდებოდეს ჩვენ გლეხს თავის მიწაწყალზე აშენებულ ხიდზე გასასვლელათ ვისმე ნებართვა, რას დააშავებს ის, ამ ხიდზე რომ გაიაროს? ჩასტეხს ხიდს? მერე ნებართვა რას უშველის—გაამაგრებს? მერე ნებართვი ზნეობას მოუმატებს? ჩემის აზრით ხიდზე დაყენებულ ჯარის კაცები ნებართვის მოსათხოვად და ქრთამების ასაღებად კი არ არიან დაყენებულნი არამედ მათ თვალყური უნდა ადევნონ, რომ ხიდზე მგზავრების შეჩერება აუცილებელია, მხოლოთ იმ შემთხვევაში შეაჩერონ, როცა ხიდს მატარებელი მოუახლოვდება, რომ ამით უბედურ შემთხვევას ადგილი არ ქონდეს და თუ ეს ასე არ იქნება მაშინ რკინისგზის ბატონ პატრონებმა ხიდებზე სიარულის საშუალება ყველას უნდა მოუსპონ იქ გამონაკლისს არც ნებართვიანი და არც ქრთამის მიმცემი არ უნდა შეადგენდეს. ამასთანავე ახლო მახლო სოფლებმა უნდა იზრუნოს რათა მდინარეებზე გაკეთებულ უნდა იქნეს პარომები რომ მგზავრს საშუალება ექნეს წყალზე გადასვლის. გასაოცარიც ის არის, რომ თუ კი რუსეთის რკინის გზის ხიდებზე გამვლელ-გამომვლელებს არავითარი ნებართვა არ ჰქირდებათ საქართველოში ხიდები ცოდვილიან მიწებზე ხომ არ არიან აშენებულნი! სანამ ამას და სხვა ბევრ ასეთ შემთხვევებს დღევანდელი ჩვენი მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს, მანამ ჩვენ მდაბიო ხალხის გულს, რომელსაც არ ესმით მიტინგებზე და საბჭოებში წარმოთქმული მქუხარე სიტყვები, ვერ მოვიგებთ! დღეს თავისუფლების ძახილით თვით ჰაერიც გაიჟღენთა და სანამ სიტყვა საქმეთ არ იქცევა უმწეო გლეხის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, მანამ დაუჯერებელი სოფლის მასა ეჭვის თვალს არ მოგვაცილებს და ყურადღებასაც ვერ დავიმსახურებთ. კიდევ ბევრია ზემო მოყვანილ „კანონის“ გარდა სხვებიც, რომლებსაც ძალა მხოლოთ ქართველი კაცის ტერიტორიაზე აქვს. ქართველი ხალხის შვილები რუსეთის ხალხის გაუმჯობესებაზე და გასაჭირისგან დახსნაზე ფიქრობენ, ქართველებისთვის კი კრინტსაც არ ძრავენ. ისინი თავიანთ სამშობლოთ მაშინაც რუსეთს აღიარებენ, როცა საქართველოში არიან რით აიხსნება ეს? იქნებ რუსეთში მათ თაფლითა და სხვა ქადაგებით უმასპინძლდებოდენ? არა მგონია.—ეჰ, იცოდე დავიწყებულო საქართველო, იქნებ შენ შენმა შვილებმა ქებით თუ არა, გინებით მაინც მოგიხსენიონ და მაშინ მოიგონე შენი ის უძლურო შვილები, რომლებიც შენი სიყვარულისთვის დევნილი და შეურაცყოფილნი იყვნენ.

**ბიკენტი აბესაძე.**

## მოწერილი ამბები.

**სოფელი სვირი.**

კვირას, 22 ოქტომბერს, სოფელ სვირში გაიმართა პოლიტიკური მიტინგი რომელზედაც ადგილობრივმა სოციალ დემოკრატების შეუგნებელმა ელემენტებმა ბევრი არა საკადრისი ზომა იხმარეს, რომ ხალხს არ გაეგო სოციალ-დემოკრატების ნამდვილი პროგრამა, და დარჩენილიყო მათი ბრმა მიმდევარი. თუ სავსებით არა მათ რაოდენიმეთ მაინც აწ მიზანს მიაღწიეს და უმეტესობა, თუმცა არც დიდი, მაგრამ მაინც სოც.-დემოკ. მხარეზე დარჩა.

მომავალი პარტიული სახის გამორკვევა სვირის საზოგადოებისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ შესძლებენ ადგილობრივი სოც.-დემოკრატები თავისი სოციალისტური, კერძო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ, მრწამსის გაბედულად და საჯაროდ გამოაშკარავებას.

ადგილობრივ მცხოვრებს ოფიცერს-დავით წიგნაძეს ნაცნობების და მეზობლების თხოვნით ჩამოუტანია თბილისიდან სხვა და სხვა პარტიის პროგრამები, რომლებიდანაც, როგორც, უეჭველად, მოსალოდნელი იყო, მოსწონებიათ მხოლოთ ეროვნული დემოკრატიის პროგრამა, რადგან საქართველოში მოქმედ პარტიებისგან მხოლოთ და მხოლოთ ეს ეროვნული დემოკრატია იცავს კერძო საკუთრებას, დანარჩენი პარტიები კი, ეს ყველამ უნდა იცოდეს, დაუძინებელი მტრები არიან კერძო საკუთრებისა. გლეხი კი, როგორც სინამდვილე გვიმტკიცებს და მთელი მეცნიერებაც ადასტურებს, მესაკუთრეა სულით და გულით და უნდა რომ ასეთივე დარჩეს საშვილიშვილოთ და საუკუნოდ. საზოგადოების ნაწილმა რომ ოდნავ საქმის ვითარება შეიტყო, მოისურვა კარგათ, დაწვრილებით გასცნობოდა მას და მთელი საზოგადოებაც გაეცნო. დაიბარეს ქუთაისიდან ეროვნული დემოკრატიის წარმომადგენლები კონსტანტინე ლომთაძე და ამბროსი პირველი. სოც.-დემოკრატებიც სამზადისს შეუდგენ.

შესდგა კრება. კ. ლომთაძემ წინადადება მისცა საზოგადოებას აერჩიათ თავმჯდომარე. დაასახელეს დავით წიგნაძე. სოც.-დემოკრატებმა, რა თქმა უნდა, ეს არ შეიწყნარეს. ეროვნულმა დემოკრატებმაც დაინახეს, თუ რა ხაფანგს უგებდენ მათ და თავის მოთხოვნილებაზე მტკიცეთ დადგნენ. ეს უკანასკნელნი არც ისე ცოტანი იყვნენ, რომ მათი ჩაჩუმება აგრე ადვილი ყოფილიყო შეიქნა მიწევ-მოწევა რომელმაც კაი ხანს გასტანა და მწვავე ხასიათი მიიღო. სოც.-დემოკრატებმა არ იუკადრისეს იმის თქმა, რომ უწინ ვითომ და მათი კანდიტატი ყოფილიყოს დასახელებული. ეს, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგე მხარეს აღელვებდა; დაატყო თუ არა ეს, ერთმა მოხერხებულმა მოსოციალ დემოკრატე ბურჟუამ სახელდობრ მელიტონ კაპანაძემ, არც აცივა, არც აცხელა და უთხრა მოწინააღმდეგებს: „როგორ ჩადიხართ მაგისთანა უნამუსობას, როგორ ამბობთ, რომ თქვენი კანდიდატი უწინ იყო დასახელებულიო“ ალბათ, ეს ამ მიზნით სთქვა, რომ აყალმაყალი გამოეწვია და კრება დაეშალა. როგორც იქნა კრება დაშოშმინდა ეროვნულმა დემოკრატებმა რაკი შეხედეს, რომ უსამართლობა იზრდება, შინჯეს ცალკე გასვლა. ამ დროს გადმოვარდენ აივნიდან ს. დ. ჩაერიენ ხალხში, რომ არავინ გაეშვათ იქით. მთელი საზოგადოების მესამედზე მეტმა მოასწრო გასვლა. ცალკე კრების გამართვა შესაძლებელი შეიქნა, მაგრამ ამით მიზანი არ იქნებოდა მიხწეული, და ერთათ ყოფნა არჩიეს. აირჩიეს თავმჯდომარეთ ს. დ. კაპანაძე. უკანასკნელმა გახსნა კრება. კომისარმა ბ. ჯუღელმა კაი ხანი საზოგადო საქმეებს მოახმარა, რის შემდეგ პარტიულ საქმეს შეუდგენ.

(დასასრული იქნება)

**ა ფ ხ ა ზ ე თ ი.**

დღიდან, როდესაც დაინგრა ძველი წესწყობილება და ნანგრევზე აშენდა ახალი მმართველობა, ვიღაც უმგვანო პირები ავრცელებენ ყოვლად შეუფერებელ ჭორებსა, ეითომც აფხაზები იარაღის საშველებით ირაზმებიან აფხაზეთში მყოფ ქართველების წინააღმდეგ რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აფხაზეთში მყოფ ქართველთა შორის.

ეს ამბები სიმართლეს მოკლებულია. რადგანაც აფხაზები, არა თუ არ ირაზმებიან ქართველების წინააღმდეგ არამედ უახლოვდებიან ქართველებს ირჩევენ სხვა და სხვა არჩევნებში ქართველებს მათთან უკრავენ ძმურ კავშირს, იბრძვიან სამშობლოს კეთილდღეობისთვის და თუ ვინმეს აოცებს, რომ აფხაზები იარაღითაა გამოწყობილი ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმეს დასაცემად ემზადებიან არამედ ეს აფხაზეთის მამაპაპური ჩვეულებაა.

ყველა იმისთვის ვინც გარკვეულად იცნობს აფხაზებს ეს უმგვანო ამბები უმნიშვნელოდ უნდა ჩაითვალოს (ეს ბოროტი ძალები მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ დათესონ ურთიერთობის შუღლი და მტრობა.

ვალდებულია, როგორც აფხაზები ისე ქართველებიც თვალყური ადევნონ ამ ბოროტ ძალების შეუფერებელ დამღუპველ მოქმედებას და ეცადონ მათ ალაგმვას.

**ი. ბალათურია.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | -- დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | -- ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | - - საღამოს - | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ე ქ ი მ ი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

# ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**


სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში